ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №472908

ნომერი: AR191570

თარიღი : 09.11.2012

გაცემის თარიღი : 17.12.2012

გაცნობის თარიღი : 18.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ვაშაკიძე პ/ნ 01001000935
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 8 ბ. 94

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 ოქტომბრის #01/1508, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 მაისის #01/615 და 2010 წლის 25 თებერვლის №01/404 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 09 ნოემბერს №AR191570 განცხადებით მომართა შპს ,,ვაგის" დირექტორმა გიორგი ვაშაკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2010 წლის 25 თებერვლის №01/404 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 ოქტომბრის #01/1508 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, შემელიძის ქ. #17–ში, შპს ,,ვაგის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.17.001.016) საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 მაისის #01/615 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/608-1). 2010 წლის 25 თებერვალს თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/404 ბრძანებით შეთანხმდა ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/432-1), რომელიც ძალაში იყო 2011 წლის 19 სექტემბრამდე. ამასთან, ამავე მიწის ნაკვეთზე 2012 წლის 06 ნოემბერს წარმოდგენილი #AR190826 ელექტრონულ განცხადებაზე თანდართული ფოტოსურათებით ირკვევა, რომ მშენებლობა ნაწარმოები არ არის.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია ნებართვის მფლობელის მოთხოვნა, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ვინაიდან, დამკვეთის მიერ დაზუსტდა მოთხოვნა (ასევე მოთხოვნილია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 ოქტომბრის #01/1508, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 მაისის #01/615 ბრძანებების ძალადაკარგულად ცნობა), ამასთან მის მიერ გასხვისებულ იქნა საპროექტო მიწის ნაკვეთი (დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს ,,ჯეო ოილი" და წარმოდგენილია აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორის გიორგი ჯოჯუას 2012 წლის 02 დეკემბრის თანხმობა პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით), ამასთან, არ იქნა დაწყებული სამშენებლო სამუშაოები, ცხადია, რომ დამკვეთს აღარ გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 ოქტომბრის #01/1508, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 მაისის #01/615 და 2010 წლის 25 თებერვლის №01/404 ბრძანებები (ნებართვის გაცემის ნაწილში უკანასკნელი ბრძანება უკვე წარმოადგენს ვადაგასულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99–ე მუხლისა და ,,ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,ვაგის" დირექტორის გიორგი ვაშაკიძის2012 წლის 09 ნოემბრის №AR191570 განცხადება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 ოქტომბრის #01/1508, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 მაისის #01/615 და 2010 წლის 25 თებერვლის №01/404 ბრძანებები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge